



IOTA HOTEL
TBILISI

შპს ლერმონტ

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	18
4. ძირითადი საშუალებები	19
5. მარაგები	19
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
8. სესხები.....	21
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
10. ამონაგები.....	22
11. სხვა საოპერაციო ხარჯები	22
12. წმინდა ფინანსური ხარჯი	22
13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	23
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
15. ანარიცხები, პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები.....	27
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27
მმართველობის ანგარიშგება.....	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლერმონტის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლერმონტის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების მოძრაობის ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ლერმონტის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ მის დირექტორზე, რომელიც ამავდროულად არის კომპანიის დამფუძნებელი, გაცემული ხელფასი 575,885 ლარის ოდენობით მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარა, როგორც მიმდინარე პერიოდის სახელფასო ხარჯი. ჩვენ ვერ შევძელით, საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება აღნიშნული თანხის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რათა დაგვედგინა, დირექტორზე გაცემული ხელფასი ან მისი ნაწილი წარმოადგენდა თუ არა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში წარსადგენ დამფუძნებელთან განხორციელებულ ოპერაციას.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანიას აქვს მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარისგან, რომლის დაფარვის ვადა არის 2019 წლის დეკემბერი. ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანია ვერ შეძლებს აღნიშნულის სესხების სრულად დაფარვას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ გამსესხებელთან მიაღწევს შეთანხმებას სესხის რესტრუქტურირებაში. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ

დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

26 აგვისტო 2019

დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:


ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

26 აგვისტო 2019



შპს ლერმონტ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	16,945,902	17,249,506	10,865,997
არამატერიალური აქტივები		43,584	33,465	4,649
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,989,486	17,282,971	10,870,646
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	348,090	269,860	26,953
წინასწარ გადახდილი გადასახადები		24,982	1,548,514	1,603,968
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	294,787	306,611	2,374,971
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	683,965	543,461	706,737
სულ მიმდინარე აქტივები		1,351,824	2,668,446	4,712,629
სულ აქტივები		18,341,310	19,951,417	15,583,275
კაპიტალი და ვალდებულებები				
დაგროვილი ზრალი		(1,614,723)	(1,411,645)	(1,194,675)
სულ კაპიტალი		(1,614,723)	(1,411,645)	(1,194,675)
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები	8	19,743,441	21,208,338	16,718,903
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	212,592	154,724	59,047
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,956,033	21,363,062	16,777,950
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,341,310	19,951,417	15,583,275

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 26 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

დავით კუპრაშვილი

ფინანსური დირექტორი

ვასილ მარდალეიშვილი

შპს ლერმონტ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	16,945,902	17,249,506	10,865,997
არამატერიალური აქტივები		43,584	33,465	4,649
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,989,486	17,282,971	10,870,646
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	348,090	269,860	26,953
წინასწარ გადახდილი გადასახადები		24,982	1,548,514	1,603,968
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	294,787	306,611	2,374,971
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	683,965	543,461	706,737
სულ მიმდინარე აქტივები		1,351,824	2,668,446	4,712,629
სულ აქტივები		18,341,310	19,951,417	15,583,275
პაბიტალი და ვალდებულებები				
დაგროვილი ზრალი		(1,614,723)	(1,411,645)	(1,194,675)
სულ პაბიტალი		(1,614,723)	(1,411,645)	(1,194,675)
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები	8	19,743,441	21,208,338	16,718,903
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	212,592	154,724	59,047
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,956,033	21,363,062	16,777,950
სულ პაბიტალი და ვალდებულებები		18,341,310	19,951,417	15,583,275

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 26 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

დავით კუპრაშვილი

ფინანსური დირექტორი

ვასილ მარდალეიშვილი

შპს ლერმონტ

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	10	8,716,191	4,410,807
მარაგების ცვლილება		78,230	242,907
მარაგების შესყიდვა		(2,015,460)	(1,353,342)
პერსონალის ხარჯები		(3,001,816)	(1,612,359)
ცვეთის ხარჯი		(754,742)	(480,312)
სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(1,941,085)	(1,174,275)
საოპერაციო მოგება		1,081,318	33,426
წმინდა ფინანსური ხარჯი	12	(760,605)	(198,824)
წმინდა ზარალი საკუთარ სხვაობიდან		(523,791)	(51,572)
წმინდა ზარალი		(203,078)	(216,970)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული ზარალი		(203,078)	(216,970)

შპს ლერმონტ

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	დაგროვილი ზარალი
1 იანვარი 2017	(1,194,675)
სრული ზარალი	(216,970)
31 დეკემბერი 2017	(1,411,645)
სრული ზარალი	(203,078)
31 დეკემბერი 2018	(1,614,723)

შპს ლერმონტ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(203,078)	(216,970)
კორექტირებები:			
ცვეთის ხარჯი	4	754,742	480,312
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	11	104,842	104,236
წმინდა საპროცენტო ხარჯი	12	760,605	198,824
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		523,791	51,572
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		1,940,902	617,974
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების ზრდა		(78,230)	(242,907)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(127,937)	(307,496)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება		1,523,532	55,454
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		118,630	121,536
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,376,897	244,561
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(413,604)	(3,797,704)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(10,119)	(28,816)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(423,723)	(3,826,520)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	8	-	3,546,477
სესხების დაფარვა	8	(2,790,970)	-
ფინანსური იჯარის დაფარვა	8	(41,653)	(63,510)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,832,623)	3,482,967
ფულადი სახსრების წმინდა შემცირება		120,551	(98,992)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	543,461	706,737
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა		19,953	(64,284)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	683,965	543,461

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლერმონტ“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ძველი თბილისის რაიონი, ლერმონტოვის ქ.#10, 0112 თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისის გაწევა. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 80% და 20% ფლობდნენ გენადი იუფიკი და დავით კუპრეიშვილი, შესაბამისად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ გადაწყვიტა ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის წარდგენა მხოლოდ ერთი წლისათვის. ამგვარად, მისი ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია არ იყენებს ფასს სტანდარტების სხვადასხვა ვერსიას, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში. კომპანია არ იყენებს ახალი ფასს, რომელიც ჯერ კიდევ სავალდებულო არაა, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი გამოყენება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიას აქვს მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარისგან, რომლის დაფარვის ვადა არის 2019 წლის დეკემბერი. ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანია ვერ შეძლებს აღნიშნულის სესხების სრულად დაფარვას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ გამსესხებელთან მიაღწევს შეთანხმებას სესხის რესტრუქტურისა და აღნიშნული ფაქტები მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ახალი ფასს-ების მიღება

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვრისთვის:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტი, რომელიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომლის გავლენაც ამჟამად ფასდება, შემდეგია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ იჯარას და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო იჯარას სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპს. იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სასტუმროს მომსახურება და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის/მომსახურების რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს/მომსახურებას, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე/მომსახურებაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქცია/მომსახურება შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
შენობა და სასტუმროს კეთილმოწყობა	10-50
აღჭურვილობა და ტექნიკა	10-20
სასტუმროს ინვენტარი	5-15
სამზარეულოს და რესტორნის აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	6-15
გამწვანება	20
სხვა	5-10

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივ დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.8 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 5 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.10 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.11 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწრის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწრა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწრის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.12 სესხის სარგებლობის დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან ჩაირთვება ამ აქტივის თვითღირებულებაში. განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარდება ხარჯის სახით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯები მოიცავს: საპროცენტო ხარჯს, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ფინანსური იჯარის ხარჯს და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობას, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება.

კომპანია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულების ნაწილის სახით, იწყებს მაშინ, როდესაც პირველად დააკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;
- ბ) გაწეულია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- გ) დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი წყდება მაშინ, როდესაც, ძირითადად, დამთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

2.13 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.14 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

2.15 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად – „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. კომპანია ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს გადახურავს მაშინ, როდესაც ურთიერთობა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშშწორებას წმინდა საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.16 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა, აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა, რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფიქსირებული და ცვლადი ხელფასის, ბონუსის და სხვა არაფულადი სარგებლის ხარჯის დარიცხვას კომპანია ახორციელებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც თანამშრომელმა კომპანიას მოცემული სერვისი მიაწოდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახდავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა და სასტუმროს კეთილმოწყობა	აღჭურვილობა და ტექნიკა	სასტუმროს ინვენტარი	სამზარეულოს და რესტორნის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	გამწვანება	სხვა	სულ
01.01.2017	2,490,000	7,984,015	85,930	102,303	33,172	123,185	-	47,392	10,865,997
შემოსვლა	-	3,037,606	1,093,685	675,984	938,225	75,109	126,964	200,358	6,147,931
სესხის დანახარჯები	-	494,266	103,996	44,290	37,923	11,467	6,534	17,414	715,890
31.12.2017	2,490,000	11,515,887	1,283,611	822,577	1,009,320	209,761	133,498	265,164	17,729,818
შემოსვლა	-	40,982	138,774	83,522	72,805	35,013	14,744	65,298	451,138
31.12.2018	2,490,000	11,556,869	1,422,385	906,099	1,082,125	244,774	148,242	330,462	18,180,956

დაგრივლი ცვთა

01.01.2017	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცვთა	-	(206,737)	(75,842)	(75,587)	(90,294)	(13,161)	(6,675)	(12,016)	(480,312)
31.12.2017	-	(206,737)	(75,842)	(75,587)	(90,294)	(13,161)	(6,675)	(12,016)	(480,312)
ცვთა	-	(319,560)	(111,959)	(127,549)	(121,081)	(14,049)	(7,043)	(53,501)	(754,742)
31.12.2018	-	(526,297)	(187,801)	(203,136)	(211,375)	(27,210)	(13,718)	(65,517)	(1,235,054)

წმინდა საბალანსო ღირებულება

01.01.2017	2,490,000	7,984,015	85,930	102,303	33,172	123,185	-	47,392	10,865,997
31.12.2017	2,490,000	11,309,150	1,207,769	746,990	919,026	196,600	126,823	253,148	17,249,506
31.12.2018	2,490,000	11,030,572	1,234,584	702,963	870,750	217,564	134,524	264,945	16,945,902

სესხით სარგებლობის დანახარჯები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
კაპიტალიზებადი საპროცენტო ხარჯი	442,390
კაპიტალიზებადი საკურსო სხვაობა	273,500
სულ კაპიტალიზებადი სესხის დანახარჯები	715,890

5. მარაგები

მარაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
საკვები და სასმელი მარაგები	272,213	140,422	-
სტუმრებისთვის განკუთვნილი მარაგები	25,127	60,166	-
სხვა მარაგები	50,750	69,272	26,953
სულ	348,090	269,860	26,953

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნები	246,895	213,577	-
გაცემული სესხები	68,104	-	-
სულ ფინანსური მოთხოვნები	314,999	213,577	-
საექვო ვალების რეზერვი	(93,783)	(36,967)	-
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	221,216	176,610	-
არაფინანსური მოთხოვნები			
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	64,245	101,779	2,373,971
სხვა ავანსები	9,326	28,222	1,000
სულ მოთხოვნები	294,787	306,611	2,374,971

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება და მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	გაუფასურების პროცენტი	გაუფასურებ ა 2018	31.12.2017	გაუფასურების პროცენტი	გაუფასურებ ა 2017
გაცემული სესხები	68,104	20%	(13,621)	-	-	-
მიმდინარე:	102,363	1%	(1,024)	83,835	1%	(838)
<30 დღეზე ვადაგადაცილება	32,523	10%	(3,252)	32,416	10%	(3,242)
31-90 დღის ვადაგადაცილება	21,432	30%	(6,430)	78,882	30%	(23,665)
91-180 დღის ვადაგადაცილება	33,391	50%	(16,696)	18,444	50%	(9,222)
181-365 დღის ვადაგადაცილება	14,752	70%	(10,326)	-	70%	-
>365 დღეზე ვადაგადაცილება	42,434	100%	(42,434)	-	100%	-
სულ	314,999		(93,783)	213,577		(36,967)
გაუფასურების რეზერვი	(93,783)			(36,967)		
წმინდა მოთხოვნები	221,216			176,610		

კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია საქმიანობს.

კომპანიას აქვს გაცემული სესხი. ხელშეკრულების პირობის მიხედვით, სესხი უნდა დაიფაროს 2019 წლის 7 აპრილს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობამ განიხილა სესხის მიმღების ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი ნაკადების მოძრაობა და მიიჩნევს, რომ სესხის საწყისი აღიარების შემდეგ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
1 იანვარი	(36,967)	-
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(104,842)	(104,236)
ჩამოწერა	11,059	67,269
31 დეკემბრი	(93,783)	(36,967)

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	117,341	344,651	44,388
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	470,173	110,480	662,339
ფული სალაროში	96,451	88,330	10
სულ	683,965	543,461	706,737

8. სესხები

სესხები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
სესხები აშშ დოლარში	15,593,921	17,149,318	13,256,771
სესხები ევროში	4,149,520	4,021,330	3,462,132
ფინანსური იჯარა აშშ დოლარში	-	37,690	-
სულ	19,743,441	21,208,338	16,718,903

სესხების რეკონსილაცია 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
1 იანვარი	21,208,338	16,718,903
სესხების აღება	-	3,546,477
საპროცენტო ხარჯი	1,503,401	1,372,014
მოგება სესხის საწყისი აღიარებიდან	(735,493)	(730,800)
სესხების დაფარვა	(2,790,970)	-
ფინანსური იჯარის საწყისი აღიარება	-	101,200
ფინანსური იჯარის გადახდა	(41,653)	(63,510)
საკურსო სხვაობის გავლენა	599,818	264,054
31 დეკემბერი	19,743,441	21,208,338

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	124,142	67,330	59,013
გადასახდელი ხელფასები	35,847	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	159,989	67,330	59,013
სახელშეკრულებო ვალდებულება	52,603	87,394	34
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	212,592	154,724	59,047

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ამონაგები

ამონაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ამონაგები სასტუროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	6,150,380	3,383,205
ამონაგები რესტორნიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	2,565,811	1,027,602
სულ	8,716,191	4,410,807

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებული ამონაგები, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
1 იანვარი	87,394	-
აღიარებული ამონაგები	(74,063)	-
აღიარებულ ამონაგებთან დაკავშირებული გადასახადი	(13,331)	-
მიღებული ავანსი, რომლისთვისაც არ აღიარებულა ამონაგები		
მიმდინარე პერიოდში გადასახადის ჩათვლით	52,603	87,394
31 დეკემბერი	52,603	87,394

11. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
დაჯავშნის საკომისიო	(413,098)	(276,791)
დასუფთავების და ქიმიკატების ხარჯი	(232,306)	(220,403)
კომუნალური ხარჯი	(255,963)	(149,457)
სარეკლამო და მუსიკალური გაფორმების ხარჯი	(250,885)	(95,904)
საგადასახადო ხარჯი	(159,014)	(115,881)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(104,842)	(104,236)
საბაკო ხარჯი	(97,527)	(15,841)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(88,788)	-
საკონსულტაციო ხარჯი	(52,277)	-
ტრანსპორტების ხარჯი	(41,708)	(20,739)
საკომუნიკაციო ხარჯი	(25,967)	(20,327)
იჯარო ხარჯი	(18,957)	(24,904)
სხვა	(199,753)	(129,792)
სულ	(1,941,085)	(1,174,275)

12. წმინდა ფინანსური ხარჯი

წმინდა ფინანსური ხარჯი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	(1,503,401)	(929,624)
მოგება სესხის საწყისი აღიარებიდან	735,493	730,800
საპროცენტო შემოსავალი	7,303	-
სულ	(760,605)	(198,824)

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად, კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	221,216	176,610	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	683,965	543,461	706,737
სულ ფინანსური აქტივები	905,181	720,071	706,737

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	159,989	67,330	59,013
სესხები	19,743,441	21,208,338	16,718,903
სულ ფინანსური ვალდებულებები	19,903,430	21,275,668	16,777,916

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხების მესამე დონის მიხედვით, შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 7.5%-დან 8.5%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდითა და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური განყოფილებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური განყოფილებისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018		31.12.2017		01.01.2017	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	279,635	190,538	61,447	49,033	658,255	4,084
ფინანსური ვალდებულებები						
სესხები	15,593,921	4,149,520	17,187,008	4,021,330	13,256,771	3,462,132
წმინდა სავალუტო პოზიცია	(15,314,286)	(3,958,982)	(17,125,561)	(3,972,297)	(12,598,516)	(3,458,048)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებაზე 2018 და 2017 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2018	(3,062,857)	3,062,857	(791,796)	791,796
მოგება/(ზარალი) 2017	(3,427,876)	3,427,876	(794,136)	794,136

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლსა და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლის გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

შპს ლერმონტ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	221,216	176,610	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	587,514	455,131	706,727
სულ	808,730	631,741	706,727

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 წლამდე	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	159,989	67,330	59,013
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	21,240,553	22,820,158	17,986,657
სულ ფინანსური ვალდებულებები	21,400,542	22,887,488	18,045,670

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12.31.2018	12.31.2017	01.01.2017
სესხები	19,743,441	21,170,648	16,718,903
საპროცენტო ხარჯი	(1,503,401)	(1,372,014)	
მოგება სესხის საწყისი აღიარებიდან	735,493	730,800	

უმალესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა შესაბამისად 623,732 და 304,233 ლარს.

15. ანარიცხები, პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენებს.

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სარჩევი:

მმართველობის ანგარიშგება

1. კომპანიის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები.....	30
2. კომპანიის სტრატეგია და მიზნები	31
3. კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა	32
4. კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა	33
5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	34

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. კომპანიის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

შპს „ლერმონტ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ძველი თბილისის რაიონი, ლერმონტოვის ქ.#10, 0112 თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმრო, სარესტორნო და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისების გაწევა.

შპს „ლერმონტ“-ის საკუთრებაში არსებულ შენობაში, რომელიც განთავსებულია თბილისში, ლერმონტოვის 10-ში, 2017 წლის 1 ივნისიდან ფუნქციონირებს სასტუმრო „იოტა ჰოტელ“-ი (IOTA HOTEL), შენობის პირველ და ბოლო სართულებზე განთავსებულია რესტორნები „იოტა გარდენი“ - 121 სტუმრის ადგილით და „დუმელი“ - 126 სტუმრის ადგილით, ასევე შენობის -1 სართულზე ფუნქციონირებს სამი საკონფერენციო დარბაზი (სულ საკონფერენციო დარბაზები იტევს 250 სტუმარს). 2018 წლის მეორე კვარტლის დასაწყისში გაიხსნა „ღვინის ობსერვატორია“, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ დააგემოვნონ და შეიძინონ ქართველი მწარმოებლების მიერ დამზადებული 200 სახეობაზე მეტი ღვინო.

სასტუმრო „იოტა ჰოტელ“-ი თბილისის სასტუმროების ბაზრის სეგმენტში ოპერირებს როგორც ადგილობრივი (არა უცხოური ბრენდი) მაღალი კლასის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო. სასტუმროში განთავსებულია 90 სხვადასხვა ზომისა და კატეგორიის ნომერი. კომპანია ასევე ახორციელებს სასტუმროსთვის დამახასიათებელი სხვა დამატებით მომსახურებების გაწევას (მაგ: ტრანსფერი, სპორტული დარბაზის მომსახურება, ტანსაცმლის რეცხვის მომსახურება და სხვა....).

	2018	2017
სასტუმროს ოთახების საშუალო წლიური დატვირთულობა (Room Occupancy) *	67.07%	64,44%
საშუალო შემოსავალი ერთ სტუმარზე, ლარი **	161	167
სულ სტუმრების რაოდენობა	33 408	17 939
სულ გაყიდული ოთახები (Rooms sold)	22 033	1 509
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) ლარი ***	244	232
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) აშშ დოლარში (ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად)	91.3	89.5
შემოსავალი ერთ ნომერზე (Revpar) ლარი ****	163.92	175.69
შემოსავალი ერთ ნომერზე (Revpar) აშშ დოლარში (ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად)	61.24	67.76
შემოსავალი სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან, ლარი	6 150 380	3 383 205
შემოსავალი რესტორნიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან, ლარი	2 565 811	1 027 602

წლების მიხედვით შეფარდებითი მაჩვენებლები არსებითად შეესაბამება ერთმანეთს. წლების მიხედვით აბსოლუტური მაჩვენებლების არსებითი სხაობების განპირობებულია იმით, რომ სასტუმრო 2018 წელს ოპერირებდა სრული წლის განმავლობაში, ხოლო 2017 წელს 7 თვის განმავლობაში.

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მაჩვენებლები გაიანგარიშება ქვემოთ მოცემული ფორმულების გამოყენებით.

* სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა გაყოფილი (სრული დღეების რაოდენობა X არსებული ოთახების რაოდენობაზე). მაგ: გაყიდული ოთახების რაოდენობა / (365 დღე X 90 ნომერი);

** შემოსავალი სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან / სტუმრების რაოდენობაზე;

*** ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR): შემოსავალი სასტუმროს ოთახებიდან / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე

**** შემოსავალი ერთ ნომერზე (Revpar) : შემოსავალი სასტუმროს ოთახებიდან / არსებულ ოთახების რაოდენობაზე.

2. კომპანიის სტრატეგია და მიზნები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში, როგორც დღევანდელი დღისთვის კომპანიის საკუთრებაში არსებული სასტუმროსა და რესტორნების, ასევე მომავალში დამატებით ფილიალების განვითარების საფუძველზე. კომპანიის განვითარების ძირითად მოტივად შესაძლებელია მივიჩნიოთ ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურთა მიერ განხორციელებული ვიზიტების და ასევე, ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯების ყოველწლიური ზრდის ტენდენცია (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია).

კომპანია აქტიურად ადევნებს თვალს როგორც სასტუმრო ასევე სარესტორნო ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს, ახალ ტენდენციებს და კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს იმოქმედოს და განვითარდეს სტუმრების მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის მიზანია შეუქმნას კომფორტული ატმოსფერო, როგორც სასტუმროს სტუმრებს, ასევე რესტორნების მომხმარებლებს. ატმოსფეროს, რომელიც პასუხობს მათ მოთხოვნებს. ამ სტრატეგიით მუშაობა კი ახალი იდეების რეალიზაციისა და შემდგომი განვითარების საწინდარი ხდება.

კომპანიის მენეჯმენტი, თბილისის საკმაოდ გაჯერებული სასტუმროების ბაზარზე, სასტუმროს სახელის (ახალი ბრენდი), რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებთან, სასტუმრო გაწევრიანებულია მსხვილ საერთაშორისო ელექტრონული დაჯავშნის პორტალებზე (Booking.com, Hotelbeds.com, Expedia.com...), ასევე სასტუმროს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო ორგანიზაციებთან, მათთან ჩამოსული სტუმრებისთვის სასტუმრო, საკონფერენციო თუ სარესტორნო მომსახურების გასაწევად. ამ ეტაპზე სასტუმროს მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასტუმროს ცნობადობის ამაღლება როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე. ცნობადობის ამაღლება და სანდო პარტნიორის სახელის დამკვიდრება ერთ-ერთი უტყუარი წინაპირობაა, რათა სტუმრების მიერ სასტუმროს ნომრის დაჯავშნა განხორციელდეს სასტუმროს ვებ-გვერდის გამოყენებით, რაც თავისთავად საგრძნობლად შეამცირებს შუამავლებისთვის გადახდილ საკომისიო თანხებს (შემოსავლის დაახლოებით 7%).

კომპანიის საკუთრებაში არსებული რესტორნები მომსახურებას უწევენ როგორც სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზების სტუმრებს, ასევე ნებისმიერ მსურველს. ასევე საკმარისზე მეტად გაჯერებულ სარესტორნო მომსახურების ბაზარზე კომპანია თავის დამკვიდრებას ცდილობს ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი ხარისხის პროდუქციისგან, პროფესიონალი მზარეულების მიერ დამზადებული კერძების საშუალებით. კომპანია 2018 წლიდან ახორციელებს სრულ სარესტორნო და საბანკეტო მომსახურებას მომხმარებლის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე (ე.წ. „ქეითერინგი“).

ჩვენი მიზანი მომხმარებლის ნდობის გამართლება, შენარჩუნება და გაზრდაა.

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

3. კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანიის, რომელიც ბაზარზე ოპერირებს 2017 წლის 1 ივნისიდან, მთავარი მიზანი და ამოცანაა სახელის დამკვიდრება, მომხმარებლის ნდობის მოპოვება და გაზრდა. 2018 წლის „Str.com“-ის მიერ გამოქვეყნებულ თბილისის სასტუმროების ბაზრის სტატისტიკაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ სასტუმროს მენეჯმენტი დასახულ ამოცანას საკმაოდ კარგად ართმევს თავს. ქვემოთ მოცემულია სასტუმროს მაჩვენებლების შედარება საშუალო საბაზრო მაჩვენებელთან მიმართებაში:

	სასტუმროები თბილისის მასშტაბით	იოტა ჰოტელ
სასტუმროს ოთახების საშუალო წლიური დატვირთულობა (Room Occupancy)	66,8 %	67,07%
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR)	104 აშშ დოლარი	91,31 აშშ დოლარი
შემოსავალი ერთ ნომერზე (Revpar)	68 აშშ დოლარი	61,24 აშშ დოლარი

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მონაცემებით (საქ. სტატი) თბილისში თავმოყრილია 304 სასტუმრო 7 875 ოთახით. ოთახების 56%-ი გათვლილია ეკონომ კლასის სეგმენტზე, 22 % ადგილობრივი (არა ბრენდირებული) მაღალი და საშუალო კლასის სეგმენტზე, 21 % მაღალი კლასის (საერთაშორისო ბრენდირებული სასტუმრო) სეგმენტზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან 2018 წელს მიღებული შემოსავალი კომპანიის საერთო შემოსავლის 70,56 % (6 150 380 ლარი). შემოსავალი რესტორნიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან - 29,44 % (2 565 811 ლარი).

კომპანიის მიერ 2018 წელს გაწეული ძირითადი ხარჯები:

პერსონალის ხარჯი - 3 001 816 ლარი; მარაგების შესყიდვის ხარჯი (საკვები პროდუქტები, სასმელი, სტუმრებისთვის განკუთვნილი ერთჯერადი საქონელი - 2 015 460 ლარი; დაჯავშნის საკომისიო (booking.com, Expedia.com ...) - 413 098 ლარი; დასუფთავების და ქიმიკატების ხარჯი (სასტუმროსა და რესტორნების თეთრეულის რეცხვა, რესტორნების სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები - 232 306 ლარი; კომუნალური ხარჯი - 255 963 ლარი; საგადასახადო ხარჯი - 159 014 ლარი.

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა

შპს „ლერმონტ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ძველი თბილისის რაიონი, ლერმონტოვის ქ.#10, 0112 თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმრო, სარესტორნო და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისების გაწევა. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან გენადი იუფიკი და დავით კუპრაშვილი. პარტნიორთა წილი კაპიტალში განისაზღვრება შემდეგნაირად: გენადი იუფიკი - 80% და დავით კუპრაშვილი - 20%.

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - დავით კუპრაშვილს, რომელიც დანიშნულია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

კომპანიაში მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება;
- ბ) ფინანსური განყოფილება;
- გ) გაყიდვების განყოფილება;
- დ) მარკეტინგის განყოფილება;
- ე) კვებისა და სასმელების განყოფილება;
- ზ) სამზარეულოს განყოფილება;
- თ) ოპერირების დეპარტამენტი;
- ი) ადმინისტრაციული განყოფილება;

სასტუმროსა და რესტორნების გამართულად ფუნქციონირებისათვის კომპანიაში დასაქმებულია დაახლოებით 140 თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

კომპანიის მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, კომპანიის ყველა თანამშრომელი სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, ასევე ყველა თანამშრომლისთვის გათვალისწინებულია სამუშაო პერიოდის დროს საკვებითა და სასმელით უზრუნველყოფა, არა სამუშაო საათებში მომუშავე პერსონალს ემსახურება კომპანიის მფლობელობაში არსებული ავტომობილები. 2018 წლიდან კომპანიის ყველა თანამშრომელი სარგებლობს მენეჯმენტის მიერ შემუშავებული საბონუსე სისტემითა და ასევე, 2018 წლიდან ჯანმრთელი ცხოვრების წახალისების მიზნით კომპანიამ ვალდებულება აიღო დაფაროს თანამშრომლებისთვის სპორტული დარბაზის მომსახურების ღირებულების 52 %.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კერძოდ, ყოველი თვის დასაწყისში ხორციელდება წინა თვის შედეგების (ADR, REVPAR, OCCUPANCY,) შემოწმება და შედარება დაგეგმილ ბიუჯეტთან. ასევე ყოველთვიურად ტარდება საკვების პროდუქტების, სასმელების და სხვა საქონლის ინვენტარიზაცია.

კომპანიის შიდა მონიტორინგის და გაყიდვების სამსახური დამატებით მიმოიხილავს რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენს კომპანიის მენეჯმენტს თავის მოსაზრებას.

ასევე სასტუმროს ძირითადი რისკებად შეიძლება განვიხილოთ:

სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, ასევე ხელშეკრულება გაფორმებული გვაქვს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა გვქონდეს დამატებითი საპოლიციო ძალების მობილიზაცია.

სტუმრებისთვის უმაღლესი ხარისხის საკვების და სასმელის მისაწოდებლად სასტუმრო თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან (ძირითადად იმერეთი).

რისკის იდენტიფიცირება:

ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა.

რისკის მართვა:

კომპანიას ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვისას, კომპანიისგან დამოუკიდებელი გარე ფაქტორებით განპირობებული რისკების და გაურკვევლობების გამოკლებით კომპანიის არსებით რისკად შეიძლება მიჩნეულ იქნას კომპანიის მოკლევადიანი სესხები დაკავშირებული მხარისგან, რომელიც უნდა დაიფაროს 2019 წლის დეკემბერში. არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით კომპანია ვერ შეძლებს აღნიშნულის სესხების სრულად დაფარვას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში,

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ლარში)

მაგრამ აღსანიშნავია, რომ წარსული გამოცდილებით გამსესხებელთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად (საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) სესხის სრულ დაფარვამდე ხორციელდება სესხის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. აღსანიშნავია რომ სესხის დაფარვის ამდაგვარი რესტრუქტურიზაცია ხორციელდება 2015 წლიდან, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 26 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



დავით კუპრაშვილი

ფინანსური დირექტორი



ვასილ მარდალეიშვილი

შპს ლერმონტ

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მაგრამ აღსანიშნავია, რომ წარსული გამოცდილებით გამსესხებელთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად (საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) სესხის სრულ დაფარვამდე ხორციელდება სესხის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. აღსანიშნავია რომ სესხის დაფარვის ამდაგვარი რესტრუქტურიზაცია ხორციელდება 2015 წლიდან, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 26 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

დავით კუპრაშვილი

ფინანსური დირექტორი

ვასილ მარდალავიშვილი